

**SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

**”USE OF SECONDARY RAW MATERIALS AND
NATURAL RESOURCES IN SERVICE OF
HUMAN AND TECHNOLOGICAL PROGRESS“**

INTERNATIONAL CONFERENCE

1-2 November

Dedicated to memory of Professor Roman Gigauri



Tbilisi

2011

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

”გეორადი ნედლეულის და ბუნებრივი
რესურსების გამოყენება ადამიანის და
ტექნიკური პროგრესის სამსახურში“

საერთაშორისო კონფერენცია

1-2 ნოემბერი

ექლენება პროფესორ რომან გიგაურის ხსოვნას



თბილისი

2011

SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

INTERNATIONAL CONFERENCE

”USE OF SECONDARY RAW MATERIALS AND
NATURAL RESOURCES IN SERVICE OF
HUMAN AND TECHNOLOGICAL PROGRESS“

A B S T R A C T S

Editor: Nodar Lekishvili

Executive Secretaries:
Tea Lobzhanidze & Khatuna Barbakadze

Tbilisi

2011

**რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი**

საერთაშორისო კონფერენცია

**”გეორგი ნეღლეულის და ბუნებრივი
რესურსების გამოყენება ადამიანის და
ტექნიკური პროგრესის სამსახურში“**

მოსენებათა თეზისები

რედაქტორი: ნოდარ ლეკიშვილი

**პასუხისმგებელი მდივნები:
თეა ლობჯანიძე, ხათუნა ბარბაქაძე**

თბილისი

2011

საორგანიზაციო კომიტეტი

ნოდარ ლეკიშვილი - თავმჯდომარე, პროფესორი
რამაზ ბოჭორიშვილი - პროფესორი, თსუ ზუსტ და საბუნების-
მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ
შოთა სამსონია - საქ. მეცნ. აკადემიის წევრ. კორ., პროფესორი
რუსუდან გიგაური - ქიმიის მეცნ. კანდიდატი
დავით გვენცაძე - ქიმიის მეცნ. კანდიდატი
იოსებ ჩიკვაიძე - ასოცირებული პროფესორი
გურამ სუპატაშვილი - პროფესორი
გიორგი ჩაჩავა - ასოცირებული პროფესორი
შუქრი ჯაფარიძე - პროფესორი
მაია რუსია - ქიმიის მეცნ. კანდიდატი
ნაირა გიგაური - ქიმიის მეცნ. კანდიდატი
თეა ლობჯანიძე - ქიმიის მეცნ. კანდიდატი
ვაჟა ტრაპაიძე - ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო კომიტეტი

ვიტოლდ ბროსტოუ - საპატიო თავმჯდომარე, პროფესორი, აშშ
რამაზ გახლიძე - თავმჯდომარე, პროფესორი
ომარ მუკბანიანი - პროფესორი
ჯიმშერ ანელი - ქიმიის მეცნ. დოქტორი
სევან დავთიანი - სომხეთის მეცნ. აკადემიის წევრ. კორ., პროფესორი
ანაიტ ტონოიანი - პროფესორი, სომხეთი
ალექსანდრე ფაინლეიბი - პროფესორი, უკრაინა
ქრისტინა ბარბუ - პროფესორი, რუმინეთი
რაულ გოცირიძე - ქიმიის მეცნ. კანდიდატი
გენადი ზაიკოვი - პროფესორი, რუსეთი
დალი ნიკოლაიშვილი - ასოცირებული პროფესორი
ნინო კახიძე - ასოცირებული პროფესორი
ნატო დიდმანიძე - ასისტენტ პროფესორი
ვალეჰ ჯაფაროვი - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, აზერბაიჯანი

სამდივნო

სათუნა ბარბაქაძე - სამდივნოს ხელმძღვანელი, ქიმიის დოქტორი
ქეთევან კოკაია - მაგისტრანტი
ნინო თაყაიშვილი - ასისტენტ პროფესორი, ქიმიის მეცნ. კანდიდატი
ლალი ტურიაშვილი - ქიმიის მეცნ. კანდიდატი
გიორგი ფანცულაია - ქიმიის მაგისტრი
ინგა ხაჩატრიანი - დოქტორანტი

Organizing Committee

Nodar Lekishvili - Chairman, Professor
Ramaz Bochorishvili - Professor, Dean of faculty of exact and natural sciences
Shota Samsoniya - Member Corr. Acad. of Scien. of Georgia, Professor
Rusudan Gigauri - Candidate of Chemical Sciences
Davit Gventsadze - Candidate of Chemical Sciences
Ioseb Chikvaide - Associate Professor
Guram Supatashvili - Professor
Giorgi Chachava - Associate Professor
Shukri Japaridze - Professor
Maia Rusia - Candidate of Chemical Sciences
Naira Gigauri - Candidate of Chemical Sciences
Tea Lobzhanidze - Candidate of Chemical Sciences
Vazha Trapaidze - Associate Professor

Scientific Committee

Witold Brostow - Honorary Chairman, Professor, USA
Ramaz Gakhokidze - Chairman, Professor
Omar Mukbaniani - Professor
Sevan Davtyan - Member Corr. Acad. of Scien. of Armenia, Professor
Anahit Tonoyan –Professor, Armenia
Alexander Fainleib - Professor, Ukraine
Kristina Barbu - Professor, Romania
Raul Gotsiridze - Candidate of Chemical Sciences
Gennady Zaikov - Professor, Russia
Dali NikolaiSvili - Associate Professor
Nino Kakhidze - Associate Professor
Nato Didmanidze - Assistant Professor
Valeh Jafarov - Doctor of Chem. Sci., Azerbaijan

Secretary

Khatuna Barbakadze - Leader of Secretary, PhD

Ketevan Kokaia - Magistrate

Nino Takaishvili - Assistant Professor, Candidate of Chemical Sciences

Lali Turiashvili - Candidate of Chemical Sciences

Giorgi Fanculaia – Master of Chemistry

Inga Khachatryan - Doctorant

**Section I. “BIOACTIVE AND OTHER COMPOUNDS WITH
SPECIFIC PROPERTIES BASED ON SECONDARY RAW
MATERIALS AND NATURAL RESOURCES”**

1 November, 12³⁰, TSU, II bd, UN AUDITORIUM

სექცია I. “**ბიოაქტიური და სხვა სპეციფიკური თვისებების
ნაერთები მეორადი ნედლეულის
და ბუნებრივი რესურსების ბაზაზე**“

1 ნოემბერი, 12³⁰ სთ, თსუ, II კ, გაეროს აუდიტორია

**საქართველოს მინერალურ-რესურსული
პროტენციალის კომპლექსური შეფასება**

დალი ნიკოლაიშვილი, ვაჟა ტრაპაიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეოგრაფიის დეპარტამენტი

dali.nikolaishvili@tsu.ge; vazha.trapaidze@tsu.ge

მინერალური რესურსები ტექნიკური პროგრესის აუცი-
ლებელი წინაპირობაა და განაპირობებს ქვეყნის არა მარტო
ეკონომიკური განვითარების დონეს, არამედ მათ დარგობრივ
სპეციალიზაციასაც. სწორედ ამიტომ უკანასკნელ პერიოდში
განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მინერალური რესურსე-
ბის დაძიება-გამოვლენას, მათი მარაგის, ხარისხის, რენტაბე-
ლობის, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში გამოყენების შესაძ-
ლებლობების დადგენას, მათ კომპლექსურ ანალიზს, ტერიტო-
რიული განაწილების თავისებურებების გამოვლენას და ა.შ.

ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია მინერალურ-რესურსული პოტენციალის შეფასების მეცნიერულად დასაბუთებული ბაზის შემუშავება, ვინაიდან მხოლოდ ასეა შესაძლებელი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის მიღწევა.

ნაშრომის მიზანია მინერალურ-რესურსული პოტენციალის კომპლექსური შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და ამის საფუძველზე საქართველოს მინერალური რესურსების ტერიტორიული განაწილების თავისებურებების გამოვლენა-შეფასება. ამ მიზნით გაანალიზდა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული დიდადი ინფორმაცია და კარტოგრაფიული წყაროები, რაც განხორციელდა გის-ტექნოლოგიების მეშვეობით. შეიქმნა საქართველოს მინერალური რესურსების ტერიტორიული განაწილების ამსახველ რუკათა სერია.

ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად საქართველოში მეტად მრავალფეროვანი მინერალური რესურსებია, რომლებიც განსხვავდება გენეზისის, მარაგის, ქიმიური შედგენილობის, ხარისხის, მდებარეობის, ტრადიციულობის, დანიშნულებისა და სამეურნეო დარგებში გამოყენების, ექსპლუატაციის, ტრანსპორტირებისა და მოპოვების პირობების, მოგებისა და რენტაბელობის, საბაზრო ღირებულების, გარემოზე მიყენებული ზარალის მიხედვით. ეს განსხვავება მეტად თვალსაჩინოა საქართველოს მხარეების მიხედვითაც. ამასთან მინერალური რესურსების მარაგი და ხარისხი სხვადასხვა განზომილებისაა და შეუძლებელია მათი ურთიერთშედარება. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილად მივიჩნევთ ისეთი რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც საქართველოს რეგიონების მინერალურ-რესურსული პოტენციალის კომპლექსური შეფასების შესაძლებლობას მოგვცემდა. ცალ-ცალკე გაანალიზდა მინერალური რესურსების სხვადასხვა ტიპი: სათბობ-ენერგეტიკული, მადნეული, არამადნეული (სამთო-ქიმიური, საშენი მასალები, სამთო-ტექნიკური, ბუნებრივი მინერალური საღებავები) და ჰიდრომინერალური.

კვლევის შედეგად გამოვლინდა საქართველოს მინერალური რესურსების ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი და პროცენტულად შეფასდა ცალკეული მხარის მინერალურ-რესურსული პოტენციალი. მინერალური რესურსების ზემოთ დასახელებული ტიპების შესაბამისად განისაზღვრა ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე მხარეები.

ბუნებრივ ნივთიერებათა რესურსების გამოყენებისადმი ახლებური მიდგომა

მამუკა მაცაბერიძე, თეიმურაზ ცაბაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს საინჟინრო აკადემია

mamuka_matsaberidze@yahoo.com

teimuraz.tsabadze@yahoo.com

საქართველოს გააჩნია უზარმაზარი რეზერვები ბუნებრივი, მაღალეფექტური და ამავე დროს უვნებელი სამკურნალო და სხვადასხვა (ფართო და სპეციალური) დანიშნულების პრეპარატების წარმოებისა, რომელთა დიდი უმრავლესობა არ მოითხოვს დიდი სამრეწველო სიმძლავრეების შექმნას და მსხვილმასშტაბიან კაპიტალდაბანდებს.

დღეს წამალთა საერთო რაოდენობის 40%-ს შეადგენს მცენარეული პრეპარატები (მათში შემავალი ბუნებრივი ნივთიერებებით), ხოლო ზოგიერთი დაავადების მკურნალობისას, მაგალითად გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას, ისინი (მცენარეული წარმოშობის ბუნებრივი ნივთიერებები) შეუცვლელნი არიან. სამკურნალო და სპეციალური დანიშნულების ნედლეულის კიდევ ერთი წყარო დღეისათვის ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე სამკურნალო მცენარეების ბუნებრივი ნივთი-

ერეგები და ქვემოთ აღნიშნული ძალზე ვიწრო სპექტრით გამოიყენება, საუბარია ცხოველური წარმოშობის ბუნებრივ ნივთიერებებზე.

აჭარბებენ რა მცენარეებს სახეობათა რიცხვით, ცხოველები შეუდარებლად ღარიბნი არიან მცენარეებზე, ინდივიდთა რიცხვით (ცნობილია დაახლოებით 300000 სახის მცენარე, მაშინ, როცა მხოლოდ მწერები – 100000, ობობის მაგვარნი – 35000, მუცელფეხიანი მოლუსკები – 90000, თევზები – 20000 სახისაა), რითაც ალბათ აიხსნება ცხოველური წარმოშობის, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ფარმაკოლოგიური შესწავლის სიმწირე. ცნობილია, რომ მცენარეები უფრო ხელმისაწვდომნი არიან ადამიანისათვის, მრავალი მათგანი გამოიყენება საკვებად, მაშინ როცა ცხოველური წარმოშობის პროდუქტთა სახესხვაობა შედარებით შეზღუდულია.

ჩვენი ერთ-ერთი საპროექტო კვლევის ("ახალი ტიპის სამკურნალო პრეპარატების და ბიოლოგიურად აქტიური სუბსტანციების ინოვაციური დაპროექტების მეთოდოლოგია") უმთავრესი მიზანია ბუნებრივ ნივთიერებებზე დაფუძნებული, ახალი სამკურნალო პრეპარატების და ბიოლოგიურად აქტიური სუბსტანციების კომპიუტერული ძიების თანამედროვე, ძვირადღირებული და პროლონგირებული კვლევების გაიაფება და დაჩქარება, აღნიშნული (კვლევების გაიაფება–დაჩქარება) ეხება გამოკვლევათა ქვემოთ ჩამოთვლილ ტიპებს:

1. **QSAR – Quantitative Structure-Activity Relationships**, მოლეკულური მოდელირება, ვირტუალური სკრინინგი, მიზნობრივი კონსტრუირება.
2. **2D-QSAR**-ის ფრაგმენტალურ-სტრუქტურული მიდგომები. ბიოაქტივობის კომპიუტერული პროგნოზირებისთვის საჭირო

- ქიმიურ ნაერთთა სტრუქტურის აღმწერი ენები. **2D-QSAR**-ის ტოპოლოგიური მიდგომები. ტოპოლოგიური ინდექსები.
3. ჰენჩის მეთოდი. ლიპოფილური, სტერიული და ელექტრონულ პარამეტრთა სახეები. ფიზიკო-ქიმიურ პარამეტრებზე დაფუძნებული QSAR მეთოდები.
4. მოლეკულური მოდელირების აპარატი. კვანტური ქიმიისა და მოლეკულური მექანიკის ძირითადი პრინციპები.
5. ეტალონთან მსგავსების მეთოდი. **3D-QSAR**. მოლეკულური ველების (**CoMFA - Comparative Molecular Field Analysis**) შედარებითი ანალიზის მეთოდი.
6. ბიოსამიზნის კომპიუტერული არჩევა. ცილების და რეცეპტორების მოდელირება: ამინომჟავური თანამიმდევრობის განონასწორების მეთოდი, ანალოგური მოდელირება. ლიგანდთა 3D-მოდელირება. ლიგანდის ბიოსამიზნესთან დაკავშირების ცენტრების ძიება. მოლეკულური დოკინგი და მისი სახესხვაობები.
7. ვირტუალური სკრინინგისა და სამკურნალო ნაერთთა კომპიუტერული კონსტრუირების ძირითადი მეთოდები. ლიპინსკის წესი. ფარმაკო-კინეტიკური და ტოქსიკოლოგიური (**ADMET-Adsorption, Distribution, Metabolism, Excretion and Toxicity**) მაჩვენებლებით შერჩევა.
8. პოტენციურ ბიოაქტიურ ნივთიერებათა («**Lead-Generation**») სტრუქტურების კომპიუტერული ძიების მეთოდები. ბიოაქტიურ ნაერთთა სტრუქტურების ოპტიმიზაციის მეთოდები («**Lead-Optimization**»).
9. ვირტუალური სკრინინგისა და სამკურნალო ნაერთთა და სპეციალურ პრეპარატთა კომპიუტერული კონსტრუირების კომბინატორული მეთოდები. სამკურნალო ნაერთთა და სპე-

ციალური დანიშნულების მასალების კომპიუტერული კონსტრუირების ფრაგმენტულ-ორიენტირებული მიდგომები.

10. ახალი სამკურნალო ნაერთების და სპეციალური დანიშნულების მასალების 3D-მოლეკულური დიზაინი, რაც გულისხმობს ძირითად მიდგომებს, ზოგად სქემას, ლიგანდთა და ბიოსამიზნეთა ურთიერთქმედების დეტალიზების დონეების დადგენა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კვლევების ფარგლებში ისაა, რომ განხორციელდება ზემოაღნიშნული ძვირადღირებული და დროში განწელილი ტექნოლოგიების ინოვაციური ჩანაცვლება არამკაფიო სიმრავლეებით გადანწყვეტადი რეალიზაციებით.

საკვლევ პროექტში ახლებურადაა დასმული ახალი ტიპის სამკურნალო პრეპარატების და ბიოლოგიურად აქტიური სუბსტანციების ინოვაციური დაპროექტების პრობლემატიკა. სამკურნალო პრეპარატების და ბიოაქტიური სუბსტანციების სანარმოო კომპლექსი წარმოადგენს ძალიან რთულ სისტემას და აპრიორული ინფორმაცია მათი ტექნოლოგიური რეალიზების შესახებ არასრულფასოვანი და არამკაფიოა (**inferior and fuzzy information**).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამგვარი სისტემის ტექნოლოგიური საჭიროებებისთვის ეფექტური მოდელირება განტოლებათა (ალგებრული, დიფერენციალური და ა.შ) (**set of algebraic, differential and so on equations**) რაიმე, თუნდაც ძალზედ რთული, სისტემის სახით პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ სამკურნალო პრეპარატების და ბიოლოგიურად აქტიური სუბსტანციების მოდელირებაში გამოიყენება განზოგადებული ფორმალიზმები, მათ შორის ლოგიკურ-ლინგვისტური მოდელები (**logic-linguistic models**), მაგრამ ისინიც, არა-

სრულ და განუზღვრელ (**incomplete and uncertain**) ინფორმაციასთან ოპერირების გამო, ადექვატურობის ნაკლებობას განიცდიან. ამ მიზეზით, კვლევის არჩეული მიდგომა ეფუძვნება მათემატიკური მეცნიერების შედარებით ახალ მიმართულებას – არამკაფიო სიმრავლეთა თეორიას (**Fuzzy sets theory**). აღნიშნული, თვისობრივად ახალი მეცნიერული მიდგომაა სამკურნალო და სპეციალური დანიშნულების სუბსტანციების ინოვაციური დაპროექტების საკვანძო პარამეტრების დასადგენად და დასამუშავებლად. ამ მიდგომის გამოყენებით განუზღვრელობის პირობებისთვის (**under uncertainty**) აგებული ახალი ტიპის სამკურნალო პრეპარატების და ბიოლოგიურად აქტიური სუბსტანციების ინოვაციური დაპროექტების მოდულების სისტემა და და მისი რეალიზაციის შესაბამისი ალგორითმები (**models' system and realization algorithms**) საშუალებას იძლევა გადაამუშავდეს არასრულფასოვანი და განუზღვრელი ბუნების მქონე ინფორმაცია, რაც საფუძველს იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ამ მიზნებისთვის განსაზღვრული პარამეტრების საანგარიშო სიდიდეთა ადექვატურობა ობიექტურ რეალობასთან.

**საქართველოში მოზარდ გლედირიაში
ალკალოიდების შემცველობის შესახებ**

**მ. ჯინჭარაძე¹, ნ. ბოგვერაძე², რ. გახოქიძე²,
რ. სხილაძე¹**

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
²ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
rgakhokidze@gmail.com

საქართველოში მოზარდი მცენარის, გლედინიის (*Gleditschia triacanthos*) ფიტოქიმიური კვლევები პირველად ჩატარებული იქნა ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის გამოჩენილი მკვლევარის პროფ. აკაკი გახოკიძის მიერ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში. მცენარის პარკებიდან მან გამოყო ფლავონოიდური ბუნების პიგმენტები (აკრამერინი, ოლმელინი), მაღალი ექსპერიმენტული ოსტატობით მათი ქიმიური სტრუქტურა და პირველმა განახორციელა მათი სინთეზიც. შემდგომში ოლმელინი ნაპოვნი იქნა სხვა მცენარეებში, მაგალითად, სამყურაში, სადაც იგი გლიკოზიდის სახით შედის.

ოლმელინი (სინონიმი ბიოჩანინ A), ძლიერი ანტიკანცეროგენური, ანტიათეროსკლეროზული და სხვა მნიშვნელოვანი ფარმაკოლოგიური აქტიურობის გამო, მსოფლიოს მრავალი ფარმაცევტული ფირმის მიერ აღიარებულ იქნა ერთ-ერთ საუკეთესო სამკურნალო პრეპარატად. შესწავლილია მისი მოქმედების მექანიზმი, ფარმაკოდინამიკა და ფარმაკოკინეტიკა.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს მსოფლიოში ფართოდ ცნობილი ნივთიერების ოლმელინის მიღების პროცესის სრულყოფა ტექნოლოგიურ პროცესებში თანამედროვე მეცნიერების სიახლეთა გამოყენების გზით.

გლედინიის სხვადასხვა ნაწილი – ფოთლები, ყვავილეები, თესლები შეიცავს ალკალოიდებს. ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა თბილისის ბოტანიკურ ბაღში მოზარდ გლედინიის სხვადასხვა ნაწილებში ალკალოიდების არსებობის საკითხი და დაგვედგინა, თუ რა გავლენას ახდენს ეკოლოგიური ფაქტორები და სეზონურობა მათ რაოდენობრივ შემცველობაზე აღნიშნულ მცენარეში.

დადგენილია, რომ ახალგაზრდა ფოთლები შეიცავს 0,89% ალკალოიდებს, მაშინ როდესაც ივლისის თვეში შეგროვილი ფოთლები ალკალოიდებს მხოლოდ კვადრის სახით შეიცავს. რაც შეეხება მცენარის სხვა ნაწილებს, ყვავილები შეიცავს 0,32%, ხოლო თესლები 0,03% ალკალოიდების

ჯამს. ფოთლებსა და ნაყოფში აღმოჩენილია ასკორბინის მჟავა (100-400 მგ%), ხოლო ჭოტში (პარკი) – საპონინები და გლიკოზიდები.

**კალის წარმოების პირობათა ურთიერთობის
ნარჩენებიდან d-მეტალთა მონოსელენო-
არსენატების სინთეზი**

მ. რუსია, მ. ჭაბუკიანი, გ. ჩაჩავა, ქ. გიორგაძე


ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
mairusia@mail.ru

ტექნიკური თეთრი დარიშხანის, ასევე დარიშხანშემცველი ფერადი მეტალების (Sn) წარმოების ნარჩენების საფუძველზე ჩვენს მიერ პირველად დასინთეზებული ნატრიუმის მონოსელენოარსენატი $\text{Na}_3\text{AsO}_3\text{Se}\cdot 12\text{H}_2\text{O}$. ამ უკანასკნელის და მეტალთა ხსნადი მარილების ურთიერთქმედებით ოდნავ ტუტე გარემოში (pH=7,5-9,0) მიმდინარეობს მიმოცვლის რეაქცია $\text{M}_3(\text{AsO}_3\text{Se})\cdot x\text{H}_2\text{O}$ შედგენილობის სელენოარსენატების(V) წარმოქმნით, სადაც M – ორვალენტიან d-მეტალთა წყალში ხსნადი მარილებია, კერძოდ, მანგანუმის(II), რკინის (II). კობალტის(II), ნიკელის(II) ქლორიდები, თუთიისა და კადმიუმის აცეტატი, ვერცხლის(I) და ვერცხლისწყლის(II) ნიტრატები, აგრეთვე სპილენძის(II) და რკინის(III) სულფატები.

d-მეტალთა მონოსელენოარსენატების სინთეზს ვახდენდით საწყის ნივთიერებათა წყალხსნარების ურთიერთშერევის ოთახის ტემპერატურაზე. ხსნარების შერევისთანავე ილექება წვრილკრისტალური ნივთიერებები. კაციონის ბუნების მიუხედავად, მიზნობრივი პროდუქტები ილექება პრაქტიკულ

ლად რაოდენობრივი გამოსავლიანობით. რეაქციის პირობების შეცვლა (d-მეტალთა მარილების წყალხსნარების ჭარბად გამოყენება, მორეაგირე ნივთიერებათა შერევის თანმიმდევრობის შეცვლა) გავლენას არ ახდენს ცდის საბოლოო შედეგებზე.

მიზნობრივი პროდუქტების წარმოქმნა მიმდინარეობს შემდეგ თანმიმდევრულ რეაქციათა ერთობლიობით:



დასინთეზებულ ნივთიერებათა შედგენილობა და აღნაგობა დადგენილ იქნა ელემენტური და რენტგენოფაზური ანალიზის, აგრეთვე იწ სპექტროსკოპიული და თერმოგრაფიული მეთოდებით.

BIOCOORDINATION COMPOUNDS OF SOME METALS WITH AMIDES, HYDRAZIDES AND THEIR PRODUCTS: SYNTHESIS, RESEARCH AND APPLICATION PROSPECTS

Nato Didmanidze

Shota Rustaveli Batumi State University
natali.did@mail.ru

The increased interest towards the research of coordination compounds of metals with Amides, hydrazides and their products is preconditioned with the specific physical and chemical properties of amides, hydrazides and their relevant coordination compounds, as well as their application prospects in medicine, agriculture and industry.

Amides, Hydrazides and their products in coordination compounds with biometals are medically proven as antituberculosis, psychotropic and anti-cancerogenic medications. They recent discoveries have also pointed out their antianemic, bactericidal, bacteria-static and cardiotherapeutic activeness, with a wider spectrum of both treatment and prophylactic impact.

Prior to the research we carried out a study of hydrazide and hydrazones compounds of some metals (formyl-, acetyl-, phenylacetyl -, benzoyl-, nitrobenzoyl-, and other products). We have synthesized the compounds at different conditions of pH: Coordination compounds: of Cu(II) with formyl-, acetyl- and benzoylhydrazones of salicylic aldehyde; of metals - Cu(II), Zn, Co(II) with formyl- and benzoylhydrazones of acetone; of metals - Cu(II), Zn, Co(II) with colchicine; of metals - Cu(II), Zn, Co(II) with brombenzoylhydrazone of benzaldehyde; of metals - Cu(II), Zn, Co(II) with brombenzoylhydrazone of salicylic aldehyde; of Cu, Zn, Cd, Co, Ni, with acetone brombenzoylhydrazone; of Cu(II) with ortho-hydroxybenzoylhydrazone of benzaldehyde and other compounds.

We have also synthesized coordination compounds formamide and amide of valerian acid. $M(\text{HCONH}_2)_4\text{Cl}_2$ and $M(\text{HCONH}_2)_2\text{Cl}_2$, (where M = Co and Ni); $M(\text{H}_3\text{C}(\text{CH}_2)_3\text{CONH})_2$, where M = Cu, Zn, Cd, Co, Ni.

The synthesized coordination compounds are studied with the application of physical, chemical, magnetic-chemical, thermo-gravimetric, spectroscopic and roentgen-structural methods. The studies ascertained nature of Chemical Connections and chemical structure of the realized metalocycles.

The study drew conclusions to the specific part of the synthesized bio-metal compounds, as relevant for application with medical and prophylactic purposes.

**კინოზა – პერსპექტიული მცენარეული
ნედლეული ახალი თაობის კვების
პროდუქტების წარმოებისთვის**

**თ. წიეწივაძე, ნ. ჩიგოგიძე, რ. სხილაძე,
გ. სულაქველიძე, ე. ჩიგოგიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოლოგიურად
აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრი
rskhiladze@gmail.com

კინოა, კვინოა ანუ გედის ბრინჯი უძველესი კულტურული მცენარეა პერუსა და ბოლივიის მაღალ მთიანეთში. იგი დღესაც ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ ამერიკაში. ინდოეთში, ანდებში 4000 მეტრის სიმაღლეზე ამ მცენარეს აშენებენ უხსოვარი დროიდან. ისინი წითელი ან რძისფერ კინოას მარცვლებს უწოდებდნენ ოქროს მარცვლებს – ნაყოფიერების სიმბოლოს. ამჟამად კინოა ინტენსიურად კულტივირდება ევროპაშიც.

კინოა წიწიბურას ახლო მონათესავე სახამებელმატარებელი მცენარეა. წიწიბურას მსგავსად კინოა პურის გამოსაცხობად არ გამოდგება მასში გლიუტენის არარსებობის გამო.

მთუშუელი, სახამებლით მდიდარი, კინოას დრეკადი მარცვლები ჰგავს მსხვილმარცვლოვან ხიზილასს, არაჩვეულებრივი ნივთიერების გემოთი. იგი ასევე საუკეთესო ყუათიანი საკვებია ცხოველებისთვის. კინოას ფოთლებიდან მზადდება ბოსტნეულის გემრიელი კერძები, რომელიც ძალიან ჰგავს ჩვეულებრივ ფხალს.

კინოა მდიდარია უნიკალური ვიტამინებით და მინერალური ნივთიერებებით. ამჟამად იგი ერთადერთი მცენარეა, რომელიც შეიცავს ყველა შეუცვლელ ამინომჟავას.

ჩვენ მიერ შემუშავებულია ორიგინალური მეთოდი და წარმოების ტექნოლოგია. კინოასგან მიღებულია კვების ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, ახალი თაობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოებისთვის.

ბააქტიურებული მანბანუმის დიოქსიფის მიღება

თ. აგლაძე¹, ჯ. შენგელია¹, ჯ. გველესიანი²

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

²რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა

და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

0175 თბილისი, კოსტავას 69

tamazagladze@emd.ge

დადგენილია ჭიათურის სხვადასხვა ხარისხის მანგანუმის მადნებიდან ელექტროქიმიურად აქტიური γ - MnO_2 -ის შემცველი პროდუქტის – გააქტიურებული მანგანუმის მადნის მიღების შესაძლებლობა [1-3].

ცნობილია გააქტიურებული მანგანუმის მადნის მიღების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს β - MnO_2 -ის შემცველი მადნების ორ ეტაპიან გადაამუშავებას, პირველ ეტაპზე მიმდინარეობს მადნის მაღალტემპერატურული ($600-750^{\circ}C$) გამოწვა, ხოლო მეორე ეტაპზე – მიღებული ნამწვის მინერალური მუშავებით [4-6] ან დამჟანგველებით [7, 8] დამუშავება.

ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდი ითვალისწინებს ნამწვის დამუშავებას აზოტმჟავათი ან ქლორით. ქლორით დამუშავება მიმდინარეობს *in situ* პირობებში. ამ მიზნით ნამწვი უშუალოდ მიეწოდება ქლორის მისაღებ ელექტროლიზერს, სადაც ელექტროლიტად აღებულია HCl-ით შემჟავებული NaCl-ის წყალხსნარი.

ჩატარებულია პროდუქტის რენტგენოფაზური კვლევა. დადგენილია აქტიური მანგანუმის მადნის ბაზაზე დამზადებული Zn- MnO_2 -ის ტიპის ელემენტის ელექტრული მახასიათებლები.

β - MnO_2 -ის შემცველი მადნებიდან მიღებული გააქტიურებული მანგანუმის მადნის ბაზაზე დამზადებული Zn- MnO_2 -ის ტუტე ელემენტის კუთრი ელექტრული ტევადობა შეადგენს 140-150 მა·სთ/გ, რაც უტოლდება ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის ანალოგიურ მახასიათებელს.

Mn₂O₃·H₂O-ს შემცველი მადნებიდან მიღებული გააქტიურებული მანგანუმის მადნის ბაზაზე დამზადებული Zn-MnO₂-ის ტუტე ელემენტის კუთრი ელექტრული ტევადობა 120-130 მა·სთ/გ შეადგენს. გააქტიურებული მანგანუმის მადნის გამოსავალი ნამწვის აზოტმჟავათი დამუშავებისას შეადგენს 50-55%-ს, ხოლო ქლორით დამუშავებისას 100%-ს.

ლიტერატურა:

1. ჯ.შენგელია, თ.აგლაძე, ლ.კაპანაძე, ჯ.გველეხიანი, ე.ალიაშვილი. მეცნიერება და ტექნოლოგიები, 7-9 (2009) 97-105.
2. ჯ.შენგელია, თ.აგლაძე, ბ.ტულუში, ი.ქემსაძე, ლ.ხრინკოვა. საქ. ქიმიური ჟურნალი, ტ. 9, 5 (2009) 426-430.
3. თ.აგლაძე, ჯ.შენგელია, ჯ.გველეხიანი. გამოგონების პატენტი განაცხადზე №11901/01 (2011).
4. С.С. Марков. Сб. работ Государственного института прикладной химии. Госхимиздат вып. 37 (1946) 155-167.
5. Julio B. Fernandes, Buqui D. Desai. Journal of Power Sources 34 (1991) 207-215.
6. Julio B. Fernandes and Buqui D. Desai and V.N. Kamat Dalal. Journal of Power Sources 15 (1985) 209-237.
7. US Patent. Office 2,473,563. Maurice Beja and Rene Albert Loisy. Patented June 21, 1949.
8. И.С.Морозов. А.С.СССР, №65522, класс 12п, 3. 1945.
9. И.С. Морозов, В.Г. Кузнецов. Известия АН СССР, Отдел Химических Наук 4 (1949) 343-353.

**გლიკოალილწარმოებულების კონდენსაცია
ბრომპროპიონმჟავას ეთილის ეთერთან**

**ლ. ტაბატაძე, რ. გახოკიძე, ნ. სიღამონიძე,
მ. თათარიშვილი**





ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
rgakhokidze@gmail.com

ბრომიზოვალერიანის მუავას ეთერი ფართოდ გამოიყენება ცენტრალური ნერვული სისტემის სამკურნალო პრეპარატების, კერძოდ, კორვალოლის და ვალეოკორდინის დასამზადებლად. ბრომშემცველი პრეპარატები ასევე გამოიყენება ბრონქული ასთმის, ფილტვების ანთების დროს და ა.შ.

გასული საუკუნის 50-იან წლებში პროფესორ აკაკი გახოკიძის მიერ მოწოდებულ იქნა სამკურნალო საშუალებათა გლიკოზოლირების პრინციპი, რომელიც დაფუძნებულია უჯრედულ მემბრანებში ნახშირწყლოვანი ფრაგმენტების აქტიურ ტრანსპორტზე და წარმოადგენს მიზანმიმართული მოქმედების ეფექტურ სამკურნალო პრეპარატთა შექმნის პრობლემის ახალ მიდგომას.

წყალში უხსნადი პრეპარატების დიდ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მათი მიღება შესაძლებელია მხოლოდ შინაგანი გზით ან გარეგანი ზემოქმედებით. აღნიშნული გარემოება ძლიერ ზღუდავს მათ გამოყენებას სამედიცინო პრაქტიკაში, შესაძლო გამოყენების შემთხვევაში კი საჭიროა მათი განსაკუთრებით დიდი დოზებით მიღება. ნახშირწყლებთან კონდენსაციის საშუალებით აკაკი გახოკიძემ შექმნილ წყალში უხსნადი პრეპარატების (მაგ., სტრეპტოციდი, ასპირინი) ხსნარ მდგომარეობაში გადაყვანა. ნახშირწყლების მოლეკულათა “გამობმით” უხსნადი პრეპარატები წყალში იხსნება და ადვილად იწოვება ორგანიზმში. საგრძნობლად მცირდება მათი ტოქსიკურობაც, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სამკურნალო პრეპარატების ეფექტიანობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ ბუნებრივი ნახშირწყლების (გლუკოზა, გალაქტოზა, მალტოზა, ლაქტოზა) ალილწარმოებულებისგან მიღებულ იქნა ბრომპროპიონ-მუავას ეთილის ეთერთან მიერთების პროლექტები (I-IV):







SYNTHESIS OF SOME SULFUR-CONTAINING MONO- AND DISACCHARIDE DERIVATIVES

R. Gakhokidze, L. Tabatadze, N. Sidamonidze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
rgakhokidze@gmail.com

Organosulfur compounds play an important role in the vital activity of animals and plants. The subject of our research is the synthesis and study antimicrobial activity of some sulfur-containing glycosides.

Sulfur-containing glycosides were obtained by the interaction of allyl derivatives of acetylated carbohydrates, i.e. glucose (I), galactose (II), maltose (III) and lactose (IV) with chlorothiophenol:



The IR spectrum lacked characteristic absorption bands for allyl groups at 1643–1700 cm⁻¹. Absorption bands were seen at (ν , cm⁻¹): 539, 596 (C–S), 3070; (C–H_{arom}), 686, 739; (C–Cl); 2928; (CH₂); 2853; (CH₃).

¹³C NMR spectroscopy (δ , ppm): 14,201 (RO–CH₂–CHCl–CH₂–). 19,308–30,084 ((RO–CO–CH₃); 31,970 – 37,447 (–CH₂); 77,740; 77,101; 76,468; 62,8 (C₂–5); 60,8 (C–6); 127,160–137,031 (C₆H₅); 177,5 (RO–CO–CH₃).

The bacterial properties of the resulting compounds were studied. Compounds were found to have different levels of inhibitory activity against organisms.

**ნავთობსაღმნეში დაღმეჭილი ნარჩენების
გადამუშავება ზოგირითი დეჰიდროგენირებით
ნავთობპროდუქტის მიღების მიზნით**

გ. ხიტერი, ი. ჩიკვაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და
ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
iosebc@yahoo.com

მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის ნავთობური ნარჩენების მაქსიმალური გამოყენება მეორადი ნედლეულის სახით, როგორც ტექნიკური დანიშნულების მასალების მისაღებად, ასევე გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

ნავთობის ტრანსპორტირების პროცესში ნავთობსადენების კედლებზე დალექილი ნარჩენებიდან შესაძლებელია დეფიციტური პროდუქტების მიღება. ჩატარებულია ამ ნარჩენების ფრაქციონირება საქარხნო ტიპის ლაბორატორიულ დანადგარზე. ფრაქციები გამოკვლეულია კლასიკური და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რის შედეგადაც ნაჩვენებია ისეთი მცირეტონაჟიანი პროდუქტების მიღების შესაძლებლობა, როგორცაა კონსისტენციური საცხები, გამუღენთი მასალები, კაბელებისა და ტარის დასაფარავი კომპოზიციები, მასტიკა, სანთლები, ტექნიკური და სამედიცინო დანიშნულების ვაზელინები და სხვა.

ნავთობსადენის ნარჩენების აღნიშნულ დანადგარზე ფრაქციონირების პროდუქტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 450⁰C-ზე მაღლა მდულარე ფრაქცია. ჩატარებული სპეციფიკური გამოკვლევების შედეგად მას აღმოაჩნდა საკმაოდ ძლიერი ლუმინესცენციის უნარი. აქტუალურია ამ ფრაქციის მნათი ნაწილის გამოყოფა, რომელიც შეიძლება შეთავაზებული იქნას როგორც იაფი ნედლეულიდან მიღებული მაღალი ხარისხის ლუმინოფორი. აღნიშნული ლუმინოფორი პერსპექტიულია ანალიზურ ქიმიაში, პოლიგრაფიაში და დიაგნოსტიკაში გამოყენების, ბიოლოგიური და სამედიცინო გამოკვლევებისა და

სხვა მიზნებისათვის. პერსპექტიულია აგრეთვე, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ამ ფრაქციის ქიმიური მოდიფიკაციის შესაძლო მიმართულებების დადგენა და შესაბამისი მეთოდების შემუშავება.

იოდმეთილენთრიფენილარსონიუმის ტეტრა- თიოსტიბიატის სინთეზი და გამოყენება


თ. ლობჯანიძე, რუს. გიგაური, ნ. გიგაური,
მ. გახუტიშვილი, ნ. ლეკიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
tea.lobzhanidze@tsu.ge

როგორც ცნობილია, პრაქტიკული გამოყენებით გამორჩეული ყველა პრეპარატი პოლიფუნქციონალური ჯგუფების შემცველია. ამ მხრივ დარიშხანორგანული ნაერთების პერსპექტივა თითქმის შეუზღუდავია.

ვაგრძელებთ რა დარიშხანშემცველი კოორდინაციული ნაერთების სინთეზსა და გამოკვლევას, ამჯერად მიზნად დავისახეთ ქიმიურად სუფთა მდგომარეობაში მიგველო და შეგვეწავლა სტიბიუმის შემცველი კომპლექსების სინთეზი დარიშხანშემცველი კატიონებით.

ჩვენი კვლევის შედეგად პირველად იქნა დადგენილი, რომ ერთდროულად დარიშხან- და სტიბიუმშემცველი კომპლექსების სინთეზი არ წარმოადგენს რაიმე სირთულეს და მიზანი მიიღწევა შემდეგი რეაქციით:



ამრიგად, ჩვენს მიერ დასინთეზებული და გამოკვლეულია ოთხნაწევრული არსონიუმის ტეტრათიოსტიბიატი. სინთეზს ვაწარმოებდით ოთახის ტემპერატურაზე, მორეაგირ-

რე ნივთიერებებს ვიღებდით ისეთი რაოდენობით, რომ დაცული ყოფილიყო მოლური თანაფარდობა:



დასინთეზებული ნაერთი წარმოადგენს თეთრი ფერის კრისტალურ ნივთიერებას, რომლიც არ იხსნება წყალში, სპირტსა და ბენზოლში, მაგრამ შედარებით უკეთ იხსნება დიმეთილფორმამიდსა და აცეტონში.

მიღებული ნაერთების შედგენილობა და აღნაგობა დადგენილია ელემენტური ანალიზითა და კვლევის სხვა ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით (იწ სპექტროსკოპია, დერივატოგრაფიული, რენტგენოფაზური და მას-სპექტრული ანალიზები).

დასინთეზებული ნაერთის ბაზაზე შემუშავებულია ბიოაქტიური არაორგანულ-ორგანული კომპოზიტები.

**რაჭის რეალბარ-აშრიპიზმენტური საბაღოს
წარმოების ნარჩენებში დარიშხანის
შემცველობის განსაზღვრა**

**გ. ჩაჩავა, მ. გვერდწითელი, მ. ყიფიანი,
მ. რუსია, ი. ლაფერაშვილი**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
gchachava@yahoo.com

დარიშხანის შემცველობა დედამიწის ქერქში შედარებით მცირეა და არ აღემატება 10^{-4} %-ს. მიუხედავად ამისა, იგი საკმარისად გაბნეულია დედამიწის ზედაპირზე, ისე რომ გოგირდოვანი მადნებიდან მიღებული მეტალები ყოველთვის შეიცავს დარიშხანს გარკვეული რაოდენობით.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში დადგინდა, რომ მთელი ამიერკავკასია, განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორია აშკარად გამოირჩევა ამ ელემენტის მაღალი ფონით. ეს განსაკუთრებით რაჭის ტერიტორიაზე ითქმის, სადაც სახნაგ-სათესად გამოყენებული ფართობიც

კი 20-30-ჯერ მეტ დარიშხანს შეიცავს, ვიდრე მსოფლიოში დარიშხანის გავრცელების საშუალო მაჩვენებელია.

ეს ფაქტი აიხსნება საქართველოში, კერძოდ რაჭასა და ცანაში დარიშხანის საბადოების და მათი გადამუშავების პროდუქტების (წარმოების ნარჩენების) დიდი რაოდენობით.

დარიშხანის გავრცელება ჩვენი ქვეყნის ნიადაგებში, წყლებში, მცენარეულ საფარში და სხვ. წლების მანძილზე საკმაოდ კარგად არის შესწავლილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის ზოგადი და არა-ორგანული და ასევე ანალიზური ქიმიის კათედრის თანამშრომლების მიერ [1-4]. შედარებით ნაკლებად ან ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად არ არის შესწავლილი დარიშხანის შემცველობა წარმოების ნარჩენებში.

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის სამუშაოებიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს დარიშხანის წარმოების ნარჩენების ბაზაზე სასაქონლო პროდუქციის მიღებას, გასული წლის შემოდგომაზე მოვაწვეეთ ექსპედიცია რაჭაში, კერძოდ, ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავში და ჯვარში დარიშხანშემცველი წარმოების ნარჩენების, ასევე დარიშხანის მადნების ჩამოსატანად.

დარიშხანის საბადოები რაჭაში ძირითადად რეალგარის (As_4S_4) და აურიპიგმენტისაგან (As_2S_3) შედგება. რაჭის რეალგარ-ურიპიგმენტური საბადოები უნიკალურია დომინანტი ელემენტის მაღალი პროცენტული შემცველობით. აღსანიშნავია, რომ ეს ბუდობები თითქმის არ შეიცავს ელემენტ-ანალოგებს – ანტიმონსა და ბისმუტს, რომელთა დაცილება დარიშხანისაგან დაკავშირებულია დიდ ტექნიკურ სირთულეებთან.

რაჭის რეალგარ-ურიპიგმენტური მადნის ნარჩენები, გარდა დარიშხანისა, შეიცავს აგრეთვე ძვრფას მეტალებს – ოქროს, ვერცხლს, ვოლფრამს და სხვ. [5]. მაგრამ ამ უკანასკნელთა საერთო რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ მათი დამუშავება დღეისათვის ნაკლებად ხელსაყრელია. სამაგიეროდ, აუცილებელია განახლდეს საქართველოში

მეტალური დარიშხანის და მისი ნაწარმების გამოშვება. ამის ფართო პერსპექტივა არსებობს ჩვენს ქვეყანაში. რაჭის სამთო-ქიმიური ქარხანა გასული საუკუნის 90-იან წლებამდე სრული დატვირთვის პირობებში უშვებდა დიდი რაოდენობით მეტალურ დარიშხანს და მისი გადამუშავების პროდუქტს (დაახლოებით 26 დასახელების პრეპარატს), რომელზეც დიდი მოთხოვნილება იყო როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთ.

რეალგარის და აურიპიგმენტის გამოწვას ახდენდნენ რაჭის სამთო-ქიმიური ქარხანაში შეშის საშუალებით. ეს ნარჩენები სოფელ ურავსა და ჯვარში საკმაოდ დიდ ფართობზე არის გავრცელებული. ნარჩენები გარედან შემოკავებულია ხის დობით, რადგან იქ საქონლის ან სხვა ცოცხალი არსების მოხვედრა ძალიან სახიფათოა, დარიშხანის ძლიერი მომწამლავი თვისებების გამო. ჩვენს მიერ აღნიშნული ტერიტორიის თითქმის ყველა მონაკვეთიდან აღებული იქნა წარმოების ნარჩენების ექვსი ნიმუში, რომელთა რაოდენობა სრულიად საკმარისია ქიმიური ანალიზისათვის და სასარგებლო პროდუქციის მისაღებად. აღებულ ნიმუშებში განესაზღვრეთ დარიშხანის პროცენტული შემცველობა ვეინის მეთოდით [6]. მიღებული შედეგები, როგორც მოსალოდნელი იყო, დაბალია და ნიმუშების მიხედვით იცვლება 1,80-2,72%-ის ფარგლებში. ამჟამად, ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ამ ნიმუშების საფუძვლიანი შესწავლა მათგან სასარგებლო პროდუქციის მისაღებად. მეორე მხრივ, ასეთი მეთოდით დარიშხანის მოცილება მკვეთრად გააუმჯობესებს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ლიტერატურა:

1. თ. მოსეშვილი, გ. ჯოხაძე. დარიშხანის გამოკვლევა რაჭის ზოგიერთ მინერალებში და მტკნარ წყლებში. თსუ შრომები, 1961, ტ. 80, გვ. 49-57;
2. ნ. ლაბარტყავა, გ. სუპატაშვილი, ნ. ლორია. მდინარე ლუხუნის ხეობის (ზემო რაჭა) ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 2003, გვ. 145-148;

3. რ.გიგაური, გ.ჩაჩავა. დარიშხანი და გარემომცველი ბუნება. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2004, გვ. 1-56;
4. Г. Супаташвили, Н. Лория, Н. Лабарткава, Н. Кереселидзе, Д. Дугашвили. Мышьяк в окружающей среде Грузии. Издательство Тбилисского Университета, Тбилиси, 2006, ст. 1-106;
5. Р.Гигаури. Синтез и превращение органических соединений мышьяка на базе As_4O_6 . Дисс.докт.тех.наук. Тбилиси, 1988, 525 с.
6. А. Ewins. The Estimation of Arsenic Compounds. J. Chem. soc. 1916, v.109, p. 1355-1358.

**რაჭის აურიპიზმენტური მადნის ნიმუშებში
დარიშხანის პროცენტული შემცველობის
ბანსაზღვრა**

**გ. ჩაჩავა, მ. გვერდწითელი, მ. ყიფიანი,
მ. რუსია, ი. ლაფერაშვილი**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
gchachava@yahoo.com

საქართველოში დარიშხანის ძირითადად გავრცელებულია სულფიდური ფორმების სახით. რეალგარ-აურიპიზმენტური (რაჭაში) და აგრეთვე არსენოპირიტული (ქვემო სვანეთი) მადნები ჩვენი ქვეყნის უდიდეს წიაღისეულად უნდა ჩაითვალოს. ეს მადნები უნიკალური არიან მთელს მსოფლიოში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჯერ ერთი, მაღალია მათში ძირითადი ელემენტის, დარიშხანის პროცენტული შემცველობა და მეორემხრივ, ნაკლებად შეიცავენ ისეთ მინარევ ელემენტებს, რომელთა მოცილება დომინანტისგან ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით დიდ ტექნიკურ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე რაჭის სამთო-ქიმიური ქარხანა იყო ერთ-ერთი სპეციალიზებული საწარმო მთელს ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელიც მაღალი სისუფთავის (განკუთვნილი

ნახევარგამტარული სისტემებისათვის) მეტალურ დარიშხანს და მისი გარდაქმნის პროდუქტებს აწარმოებდა.

დარიშხანი თითქმის ყველა ფერადი მეტალის თანმდევი ელემენტია. ამ ელემენტთა და მათი ნაერთების წარმოებისას (განსაკუთრებით კი კეთილშობილი მეტალების), რომელთა ინდივიდუალურ მდგომარეობაში მიღების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას შესატყვისი მადნების პირომეტალურული გამოწვა წარმოადგენს, ეს ელემენტი გამოდის წარმოების სქემიდან თეთრი დარიშხანის სახით და ქმნის ტოქსიკურ ნარჩენებს. ხშირად ეს ნარჩენები 20-60% დარიშხანს შეიცავს, რაც შესაბამის ოქსიდზე გადაანგარიშებით შეადგენს 26-79%-ს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თეთრი დარიშხანის 0,2 გ ადამიანისათვის მომაკვდინებელი დოზაა, ხოლო ასეთი ნარჩენები მსოფლიოში ფერადი და ძვირფასი მეტალების წარმოებისას მილიონობით ტონა გროვდება, შეგვიძლია დავასკვნით, რომ აღნიშნული ნარჩენების გაუვნებლობა-უტილიზაცია დღემდე გადაუჭრელი პრობლემაა.

ხსენებული ნარჩენები და ასევე მადანი, ისეთნაირად უნდა გადამუშავდეს. რომ მიღებული პროდუქტი გარემოცველი ბუნებისთვის აღარ იყოს საშიში ეკოლოგიური თვალსაზრისით. უფრო ზუსტად, გარდაქმნის პროდუქტი შესაძლოა დაიყაროს წარმოების მახლობლად, სპეციალურ ბეტონის სარკოფაგებში, ისე, რომ მან არსებითი გავლენა ვერ მოახდინოს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანა გასული საუკუნის 90-იან წლებამდე სრული დატვირთვის პირობებში უშეგებდა 5-7 ტონა მეტალს წელიწადში. თუ გავითვალისწინებთ ასეთ ტემპს და იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ მხოლოდ მთელი გამოღებული მადნის 20% გარდაიქმნება სასაქონლო პროდუქტად, მაშინ მარტო დაზვერვილი საბადო წარმოებას ეყოფა 40-50 წლის განმავლობაში. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ამ რეგიონის მნიშვნელოვანი ნაწილი დღეისთვის გეოლოგიურად სრულყოფილად არ არის გამოკვლეული. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველო დარიშხანის საკმაოდ დიდი მარაგის მფლობელია. ამრიგად, როგორც ლუხუნის რეალგარ-აურიპიგმენტური, ისე ცანის არსენოპირიტული მადნები გამოირჩევიან დარიშხანის მადალი შემცველობით. ეს კი ამ ელემენტის მრეწველობის განვითარების ფართო პერსპექტივას ქმნის საქართველოში.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა რაჭის აურიპიგმენტური მადნის ნიმუშებში As-ის პროცენტული შემცველობა. ამ მადნის სახელწოდება „აურიპიგმენტი“ ლათინურიდან ასე ითარგმნება: „აურუმ“ – ოქრო და „პიგმენტუმ“ – საღებავი. როგორც ჩანს, ეს სახელწოდება დაიმკვიდრა თავისი ფერის გამო. იგი გარეგნულად ძალიან ემსგავსება ოქროს. გარდა ამისა, აურიპიგმენტს რეალგართან ერთად ძველთაგანვე ფართოდ იყენებდნენ სამხედრო საქმეში.

